

BCI

Business Confidence Index

- ✓ After the sharp decline in Q2 2015, business confidence (BCI) in Georgia showed signs of rebounding in Q3.
- ✓ Out of the 211 companies surveyed, about half reported having trouble in business activities in April, May and June.
- ✓ The expectations index increased by 30 index points and stood at the 34 points mark in Q2 of 2015.
- ✓ Insufficient demand remains the most limiting factor for doing business in Georgia.

- ✓ 2015 წლის მეორე კვარტალში დაფიქსირებული მკვეთრი ვარდნის შემდეგ, ბიზნესის განწყობის ინდექსი გაიზარდა.
- ✓ გამოკითხული 211 კომპანიის თითქმის ნახევრის ცნობით, ბიზნეს აქტივობისთვის აპრილი, მაისი და ივნისი პრობლემური თვეები იყო.
- ✓ მოლოდინების ინდექსი 30-ით გაიზარდა და 2015 წლის მესამე კვარტალში 34 პუნქტს შეადგენს.
- ✓ ბიზნესის კეთების მთავარ შემზღვეველ ფაქტორად კვლავ არასაკმარისი მოთხოვნა დასახელდა.


After the sharp decline in Q2 2015, business confidence (BCI) in Georgia showed signs of rebounding in Q3¹. In line with expectations, April, May and June were ex-post not particularly favorable months for Georgian businesses.

2015 წლის მეორე კვარტალში მკვეთრი ვარდნის შემდეგ, ბიზნესის განწყობა გაუმჯობესდა მესამე კვარტალში. არსებული მოლოდინების შესაბამისად, აპრილი, მაისი და ივნისი მართლაც არ აღმოჩნდა სახარბიელო პერიოდი² ქართული ბიზნესისთვის.

Out of the 211 companies surveyed, about half reported having trouble in business activities in April, May and June (reflected in low sales, turnover or production numbers). Accordingly, the main driver of the overall BCI rebound in Q3 was the strident increase in expectations. The business expectations index increased by 30 index points in one quarter – a sharp rebound that almost compensated for the loss of confidence in Q2 2015.

გამოკითხული 211 კომპანიიდან დაახლოებით ნახევარმა გვაცნობა, რომ აპრილი, მაისი და ივნისი ბიზნეს აქტივობისთვის პრობლემური თვეები იყო (რაც მათ წარმოებაში, ბრუნვასა თუ გაყიდვებში გამოიხატა). შესაბამისად, ბიზნესის საერთო განწყობის გაუმჯობესების ძირითადი მიზეზი მოლოდინების მკვეთრი ზრდა გახდა. ბიზნესის მოლოდინების ინდექსი ერთი კვარტლის განმავლობაში 30-ით გაიზარდა, რამაც მეორე კვარტლის მნიშვნელოვანი კლება თითქმის მთლიანად დააკომპენსირა.

BCI
ბიზნესის განწყობის ინდექსი



One of the most encouraging signals from the Q3 BCI is confidence rebounding in the retail sector, which had been on the decline since Q4 2014. The retail sector is the first link in the production chain and is thus first to react to changes in consumer confidence.

ყველაზე იმედისმომცემი სავაჭრო სექტორის განწყობის გაუმჯობესებაა. საცალო ვაჭრობა საწარმოო ჯაჭვის ის რგოლია, რომელსაც პირველს აქვს შეხება მომხმარებელთან და შესაბამისად რეაგირებს. მომხმარებელთა განწყობის

¹ The BCI of 100 would have indicated that all firms in the sample reported a positive outlook. An index of zero would indicate that positive and negative views reported by firms is about equal, or alternatively in overall, firms reported no change in the current business situation, and -100 would indicate that all survey respondents were much less confident about different business environmental factors.

² განმარტებისთვის, BCI=100, გვიჩვენებს, რომ ყველა გამოკითხულ ბიზნესს აქვს დადებითი განწყობა. 0 აღნიშნავს, რომ დადებითად და უარყოფითად განწყობილი ბიზნესების რაოდენობა თანაბარია, ანუ ფირმების ცნობით, საერთო ბიზნეს-გარემოში ცვლილებები არ მომხდარა, -100 კი აღნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული კომპანია უარყოფითად აფასებს სხვადასხვა ბიზნეს-ფაქტორს.


ბიზნესის განწყობის ინდექსი

The consumer confidence index has been decreasing since November 2014, but stabilized somewhat in the summer months. This stabilization underpins the improvement of the retail sector index in the BCI.

მომხმარებელთა განწყობის ინდექსმა კლება 2014 წლის ნოემბერში დაიწყო, თუმცა ბოლო რამდენიმე თვეა, დასტაბილურდა, რაც ბიზნესის განწყობაზეც აისახა.

Consumer Confidence Index

სამომხმარებლო ნდობის ინდექსი



The expectations index increased by 30 index points and stood at 34 point mark in the third quarter of 2015. The increase was driven by all sectors, but particularly large improvements were observed in the agriculture and retail sectors.

მოლოდინების ინდექსი 30 პუნქტით გაუმჯობესდა და 2015 წლის მესამე კვარტალში 34 პუნქტს მიაღწია. გაუმჯობესება შეინიშნება ეკონომიკის ყველა სექტორში, თუმცა მოლოდინების განსაკუთრებული ზრდა გაყიდვებისა და სოფლის მეურნეობის სექტორებში დაფიქსირდა.

Sales price expectations

Sales price expectations for businesses decreased slightly over the last quarter, dropping from 16 (Q1 2015) to 3 (Q2 2015) index points.

There are several factors that can affect price expectations. On the one hand, decreased consumer demand would have pulled price expectations down. On the other hand, if the costs of doing business increase, this would push prices up (the supply effect). If both are at play simultaneously, the overall effect on prices is ambiguous.

In our case, low consumer confidence would have dampened price expectations, while the GEL depreciation and import price increases would have pushed costs up. As a result, we can see that the changes in price expectations are rather mild.

მოსალოდნელი გასაყიდი ფასი


მოსალოდნელი გასაყიდი ფასის ინდექსი მცირედით, 16-დან (მეორე კვარტალი) 3-მდე (მესამე კვარტალი), შემცირდა.

გასაყიდი ფასის შესახებ მოლოდინების ფორმირებაზე გავლენას ახდენს რამდენიმე ფაქტორი. ერთის მხრივ, მომხმარებლის მხრიდან მოთხოვნის შემცირებას ფასების შემცირებაც უნდა მოჰყვეს. მეორეს მხრივ კი, თუკი წარმოების დანახარჯები გაიზარდება, ფასებიც უნდა გაიზარდოს (მიწოდების ეფექტი). თუკი ორივე ფაქტორი ერთდროულად მოქმედებს, მაშინ მოსალოდნელ ფასზე მათი გავლენა გაურკვეველია.

ჩვენ შემთხვევაში, მომხმარებელთა შემცირებული აქტივობა ფასების შემცირებაზე უნდა მიგვანიშნებდეს, მაშინ, როდესაც ლარის გაუფასურების და იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდის გამო, წარმოების დანახარჯები უნდა იზრდებოდეს. შედეგად, მოლოდინები ფასების ცვლილებებთან დაკავშირებით ზომიერია.


Sales Price Expectations Index

მოსალოდნელი გასაყიდი ფასი



What are the main factors limiting your business activities?

რა ძირითადი ფაქტორები ზღუდავს თქვენს ბიზნეს საქმიანობას?



The most limiting factor to doing business in Q3 2015 was insufficient demand. A total of 35% of large companies reported low consumer demand as the main obstacle. SMEs found it particularly hard to operate with unstable demand on the market, with this index standing at 38% for SMEs in the third quarter of 2015.

SMEs typically have more trouble attracting financial resources than larger companies and this pattern was also observed during the quarter. Financial constraints remain the second most significant problem for business operations. On the other hand, government intervention is perceived as a greater problem for larger enterprises than for small and medium-size firms.

2015 წლის მესამე კვარტალში ბიზნესის კეთების ძირითად შემზღვეველ ფაქტორად არასაკმარისი მოთხოვნა დასახელდა. მსხვილი ფირმების 35%-მა ბიზნეს-საქმიანობის ძირითად შემზღვეველ ფაქტორად არასაკმარისი მოთხოვნა დაასახელა;

არასტაბილური მოთხოვნის პირობებში ფუნქციონირება განსაკუთრებით უჭირს მცირე და საშუალო ბიზნესს. ეს მაჩვენებელი SME-ებისთვის 38%-ს შეადგენს.

როგორც წესი, მცირე და საშუალო ფირმებს უფრო უჭირთ ფინანსური რესურსების მოზიდვა, ვიდრე მსხვილ ფირმებს. აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნდა ამ კვარტალშიც. ბიზნეს-საქმიანობის მეორე მთავარ პრობლემად კვლავ რჩება ფინანსური შეზღუდვები. მეორეს მხრივ, სამთავრობო ჩარევები უფრო პრობლემურია დიდი საწარმოებისთვის.

Notes

ISET Policy Institute, working in partnership with BIA (Business Information Agency) and International Chamber of Commerce in Georgia (ICC), started to implement the Business Confidence Survey from December 2013 and will publish the Business Confidence Index (BCI) on the quarterly basis.

Business confidence for Georgia is constructed from seven sector-specific, namely 1) services, 2) retail trade, 3) agriculture, 4) manufacturing industry, 5) financial service 6) construction and 7) other sectors.

211 companies filled the online questionnaire in the time period July 1 -July 25, 2015.

შენიშვნა

2013 წლის დეკემბრიდან ISET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა, სს. „ბია“-სთან (ბიზნეს ინფორმაციის სააგენტო) და საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან ერთად, დაიწყო ბიზნესის ნდობის გამოკითხვის ჩატარება. ბიზნესის ნდობის ინდექსის პუბლიკაციები გამოქვეყნდება ყოველკვარტალურად. ბიზნესის ნდობა საქართველოსთვის იზომება შვიდი ბიზნეს სექტორისთვის 1) მომსახურება, 2) საცალო ვაჭრობა, 3) სოფლის მეურნეობა, 4) მრეწველობა, 5) ფინანსური მომსახურება, 6) მშენებლობა და 7) სხვა სექტორი. **ონლაინ კითხვარი 2015 წლის 1-25 ივლისს 211-მა კომპანიამ შეავსო.**